1.3 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება - (30 03)

პროგრამის განმახორციელებელი: შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	**დასახელება**	**წლიური დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური დაზუსტებული მოცულობა**	**საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
30 03	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება	**14 380.0**	**14 380.0**	**2 728.9**	**18.9%**	**51 873.5**

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- მიმდინარეობდა ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა ობიექტების დაცვითი მომსახურებით უზრუნველყოფა, განსაკუთრებული მნიშვნელობის, არაგაბარიტული, სახიფათო მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა (ინკასაცია);
- ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევებში ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა (საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 38 016 გასვლა);
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა საავიაციო უშიშროების სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიის მოწყობის სამუშაოები. გარემონტდა სხვადასხვა დასაცავი ობიექტების დასაცავად საჭირო 53 ცალი დაცვის საგუშაგო ჯიხური და დასრულდა სამცხე-ჯავახეთის რდპ მთავარი სამმართველოს ბორჯომის დაცვის პოლიციის განყოფილების შენობის რემონტი;
- 2025 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებულია 15 ერთეული ოპერატიული დანიშნულების მსუბუქი ავტომანქანის ღირებულება.